



572
19669

1966 035060

6



ჭყვიპინა

ზაქარია ბოლქვაძე

ნანიკო თავისი დედოფალბით ეწოპი დასვირნიბს.

— ჭვიპ-ჭვიპ, ჭვიპ-ჭვიპ!
ბუდეში ზის ჩიტის ბარტე და შხიარუ-
ლად ჭვიპინებს.

— ნუტევი ერთი ვიჯოდე რა კიხარია,
შე ჭვიპინაჲ, შენა! აიქელი ბუჭურობა!— დაუ-
ძასხ ნანამ ბარტეს.

— როჯორ თუ რა მიხარია, აბა, ვიტო-
რო? კინდა რომ ვიტორთო? — გუბუტუ ბარტე-
ვი ნახხს, — რას გიმლი, ნუშთვის ჭვიპინებ!

— იმას შიშლი, რომ დედოფალას ვაძი-
ნებ, შენ კი სმაურობ.

— ჭვიპ-ჭვიპ!
ისეე დაიჭვიპინა ბარტემ.

— აბა, ერთი შითხარი, რა კიხარია?!
— ახლად ვუჭები დუჭუყუნ ნანამ ბარტეს.

— რა მიხარია და, — ჭვიპინამ კაცი-
ნა, — მადე ნემი დედიკო და შამიკო შიფ-
რინდებინ და სეყეს შიშიტანენ.

— ჰი-ჰი-ჰი-ჰი, — გუყინა ნანას, — დიდი
აშაჲვი, ვე კიხარია?

— ვე მიხარია. — უჭხუსხ ბარტემ.

— შერე?

— შერე შიშიტანენ და შვეჭამ!

— შერე კიდეე დაიჭვიპინებ, კიდეე ში-
შიტანენ და კიდეე შვეჭამ.

ბავშვიანობით

ლილია ბავშვიანიძე

გამოვისხათ ფრთები,
გადვიტროლოთ მთები,
ენახოთ ყველა ქვეყნის
ნორჩი პატარები.
ვუთხრათ სიტყვა ძმური—
ნათელი და წმინდა:
ჩვენ მშვიდობა გვინდა!

მთები

70023

შეხეთ,
ყოველ მხარეს
ელავს ცისარტყელა.
ჩვენ ღები ვართ ყველა,
ჩვენ ძმები ვართ ყველა,
თუმცა სხვადასხვა გვაქვს
სამშობლო და კერა.

გამოვისხათ ფრთები,
გადვიტროლოთ მთები,
ენახოთ ყველა ქვეყნის
ნორჩი პატარები.

— რა ამბავია ამდენი ჭმა?—გაკვირ-
ვა ნანამ.

— ბევრს რომ შევჭამ, ჩქარა გავიზრ-
დები.—უპასუხა ბარტყმა.

— მერე, რომ გაიზრდები?

— რომ გავიზრდები, ფრთებიც გამეზრ-



დება, მერე ფრენას ვისწავლი, თვითონ ვიფრენ, სადაც მომესურვება. საჭმელს შე თვითონ ვიშოვი, დედიკოს და მამიკოს აღარ შევასწუხებ.

— ამ ჭეიზინას ვერ უუბრებ? ეს რეები სცოდნია!—გაოცდა ნანა.

— მერე უკვე ჩიტო ვიქნები და ჭეიზინას ვუღარ დამძახებ!—დაამთავრა თავისი სათქმელი ბარტყმა.—შენ კი მკვითხები, რა ვიხზარია, აი, რა მიხზარი.

— ჭეიზ-ჭეიზ! აცერ, დედიკო და მამიკოც მოფრინავენ; ნისკარტით გემრიელი რაღაც მოაქვთ.

ჭეიზინამ შორიდანვე დააღო ზირი.

ნახატი ზურაბ შორაჩხიძისა



ცუნკო

გივი ჭიჭინაძე

მე სწორედ მაშინ გაეჩნდები, მთამი რომ თოვლი გადღვება. ჩემი წკრიადა სიმღერით მსურს გაიხარონ ბაღლებმა.

— წყაროვ, ფინ გშობა, დამაზო?

— აგერ, იმ მთებმა მალღებმა.



სანდრა

მარამ გომეატიანი

ნახატი ლიმიზიკი ზარაფიშვილისა

ნამდვილი ამბავი

გმირობის ჩაღენა ყველას შეუძლია. გმირობისთვის აუცილებელი არ არის, იყო მაღალი, ღონიერი და გამოცდილი. გმირობა ხუთი წლის სანდრამ—პატარა გოგონამაც კი შეძლო. აი, როგორ მოხდა ეს:

სანდრას მშობლები დილით სამსახურში მიდიოდნენ ხოლმე. შინ რჩებოდნენ სანდრა, სამი წლის აივარი, წლინახვერის ანიტა და სულ პატარა—ხუთი თვის არტისი.

იმ დღითაც ასე იყო. დედამ ბავშვები ასაუზნა, მამამ მთელი დღის მარაგი შევა შემოზიდა დერეფანში და რადვანაც გარეთ ძლიერ ყინავდა, სამზარეულოში ჩვეულებრივ მგეტად გაახურა ღუმელი.

წასვლის წინ დედამ სანდრას უთხრა:

— აბა, ჩემო შვილო, შენ იცი, მიხედვე პატარებს. ოჯახს შენს იმედზე ვტოვებ!

მეტი დარიგება სანდრას არ სჭირდებოდა. იგი ჰკვიანი გოგო იყო.

მშობლები წავიდნენ. სანდრამ, როგორც ყველაზე უფროსმა, და-ძმას სათამაშოები მოუტანა, იატაკზე გაშლილ ხალიჩაზე დაუყარა და თამაში გაჩაღდა.

კოტა ხნის შემდეგ სანდრა ბოლისა და დამწვრის სუნმა შეაწუხა. მან გართობას თავი მიანება და სამზარეულოს კარი შეადო. კვამლმა პატარას თვალები აუწვა. ღუმელის თავზე გასაშრობად დაკიდებულ ტანსაცმელს ცეცხლი მოსდებოდა.

— ხანძარი! — წამოიძახა სანდრამ და უცებ წარმოიღვინა, თუ რა საშინელება მოჰყვებოდა ამ ამბავს. მარტო ვერ ჩაეაქრობ, — გაიფიქრა ბავშვმა, კარი მიხურა და ოთახში შემობრუნდა.

აივარი უკვე სატირლად იყო გამზადებული, ანიტა კი თამაშს განაგრძობდა. იქვე, პატარა საწოლში არტისს მშვიდად ეძინა.

სანდრა დაფაცურდა. კარადიდან თბილი



ტანსაცმელი ვადმოაღვა. ჯერ სამი წლის აიყარს დახმარა ჩაცმაში, შერე ანიტა გამოაწყო თბილად. სანდრამ მგრაღ ჩაპკიდა ხელი პატარებს, სახლიდან გაიყვანა და მოზრდილ ნაჭერთან, მუდრო ადგილას დააყენა.

— ფეხი არ მოიკეცლოთ აქედან, მალე მოვალე!—გააფრთხილა ისინი და სწრაფად გაბრუნდა სახლისკენ.

ცუცხლი გამძლევებულიყო. კვამლი იქაურობას ფარავდა. პატარა არტისს ვალეიძებოდა და გაბმულად ტაროდა.

სანდრა საწოლს მიუახლოვდა.

— ჩუ, რა დროს ტირილია!—ძმა ფრთხილად, ძლიერძლივობით გაღმობიყვანა საწოლიდან, ხალხიანზე დაგორა და გულმოდგინედ დაუწყო შეფუთვა. სანდრამ დიდის

ვაჭირვებით აიტაცა ხელში ძმა და გარეთ გამოვიდა.

ქარი უზებრავდა და ყუინა ბავშვს სახესა და ხელებს უსუსხავდა. სანდრა კი უფრო ძლიერად უჭერდა პატარა ხელებს ძამიკოს და ძლიერძლივობით მიყვებოდა დათოვლილ ბილიკს.

რა შორს ყოფილა დეიდა ტანსას სახლი.—გაიფიქრა სანდრამ და გზას გახედა.

სიცივე მაღალ-რბილში გაუჯდა პატარას, ხელ-ფეხი ეთოშებოდა. ტირილი მოუხდა, მაგრამ თავისი პატარა ძმა მოაჯონდა და თავი შეიკავა, თუმცა ცრემლები ღამალუბით ჩამოსდიოდა ლოყებზე.

სანდრამ დაახლოვებით ერთი კილომეტრი გაიარა. სახლს რომ მიადგა, მაღლონე თითქმის გამოლეოდა. კარზე ხელით დაკაკუ-

ნება რომ ვერ მოახერხა, დამახება დააპირა, მაგრამ რიგინად ხმაც ვეღარ ამოიღო და ფეხით მიიბაკუნა.

— რა მოხდა, სანდრა?—გაიკვირვა ზღურბლზე გამოსულმა ქალმა.

სანდრამ ვერაფერი უპასუხა. ქალმა ბავშვები ხელში აიყვანა და სახლში შეიყვანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სანდრა დანარჩენი ბავშვებისკენ მიუძღოდა მგზობლებს. აიგინა და აირიგა იმავე ადგილზე იდგნენ, მხოლოდ სიცივისაგან გალურჯებულყვინენ და ხმაშალა ტაროდნენ.

სანდრა და-ძმას გადაეგვირა.

ასე გადაარჩინა ხუთი წლის სანდრამ თავისი ორი ძმა და ერთი და, ბავშვებო! ეს შეთხზული ამბავი არ გგო-

ნოთ. ყველაფერი რაც მოგეყვებით, ნამდვილად მოხდა ჩვენს სამშობლოს ერთ-ერთ რესპუბლიკაში—ლატვიაში. სოფელს, სადაც სანდრა და მისი მშობლები ცხოვრობენ, ლამაზი სახელი ჰქვია: „მზიური მთები“.

სანდრას გმობობის ამბავი მთელმა ქვეყანამ შეიტყო. ყველა გააოცა პატარა სანდრას საზრიანობამ და სიმამაცემ.

ჩვენსა მთავრობამ პატარა გმობის ძვირფასი საწუქრები მიართვა და დააჯილდოვა მღელღით: „ხანძარზე მამაკობისათვის“.

ლატვიელი გოგონა სანდრა ცირიტიის ჩვენს ქვეყანაში მთავრობის ჯილდოს ყველაზე პატარა მფლობელია.

აი, ახლა ხომ დარწმუნდით, რომ გმობობის ჩადენა ყველა თქვენგანს შეუძლია.



ი ვ მ ღ ზ მ ბ ი

შეზარა კინოხელო

პატარა გელას მანამდე არსად ენახა მარუდა. ნახა, გაოცდა: ცხენები დაჭკროდნენ ნიაგქარულად.

ცუცხლს ჰყრიდნენ, ისე დაჭკროდნენ წითელი, თეთრი ცხენები, მხერგები მწვანე მოყდანს უფრიდნენ შეუსვენებლივ.

შეზარბდა სანახაობა, მართლაც რომ კარგი რამ იყო... უცებ გუნება წაუხდა, ბუბლუნით უთხრა მამიკოს:

— იმ ჯოხის ცხენზე დღეიდან აღარ შევევლები, არაო, აღმა და დღემა ტყუილად რაც ვიჯირითე, კმარაო.

ნახატო შავმა ზღურჯანხელო





სარკის საიწმელო

მსოფლიოში ცნობილ უკვდავ თხზულებებს მიეკუთვნება შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანი. შოთა რუსთველი ქართველ პოეტთა შორის ყველაზე უკეთ ჩანსვდა თავისი მშობელი ხალხის ბუნებას და უდიდესი პოეტური ძალით შექმნა ყველა ქართველისათვის ხაოცნებო, თავისებური სამყარო, რომელიც დასაბუღებულია ისეთი უმწვენიერესი სულის ადამიანებით, როგორებიც არიან თინათინი და ნუნტანი, ფრიდონი, ავთანდილი და ტარიელი. მათ იციან გმირობა, ჭირში შურდრეკლობა, სიყვარულისა და მეგობრობის ფასი, იციან ქალისადმი უღრმესი პატივისცემა.

შოთა რუსთველი

ამიგომ შეიყვარა ქართველმა ხალხმა ვეფხისტყაოსანი და ხაუყუნეთა მინძილზე თავის წმინდათა წმინდა წიგნად გაიხადა. ჭირი იქნებოდა თუ ღვინო, ქართველი კაცი ვეფხისტყაოსნის ნებით მტკაველებდა. განსაცდელის ეამს იგი მოიგონებდა დიდი რუსთველის სიტყვებს: „ნეტარ მამაცი სხვა რაა, არ გასწლოს ხაცა ჭირია“, ან „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიციკისაო“. განსაცდელი კი ქვიშაზედ უჭრავლესი ადგა ქართველ ხალხს. ვინ იცის, რამდენჯერ მოგონებიათ სამშობლოდან გადაბეჭვილ ქართველ მამულიშვილებს ავთანდილის მწუბარე, მაგრამ იმედიანი სიტყვები:



და ქართველი ხალხი

„ვა, სოფელო, რაშვიან ხარ, რას გვაბარუნებ, რა ზენ გჭირსა! ყოველი შენი მონღობილი ნიადაგცა ზემებრ ტარსა! სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხერი სადით ძირსა? მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან ვანაწირსა“.

რუსთველის სიტყვებით მიდამოდენ ბძომლებში მამულისა და სახელის დამცველი გმირები: „სულობს სიცოცხლისა ნაწარხსა, სიკვდილი სახედლოვინა“. ერთმანეთს ტარიელისა და ავთანდი-

ნახატი ზარბ კაპანძისა

ლისებურ მეგობრობის ფიციებოდნენ და ქალღვინისადმი დიდ პატივისცემას იჩენდნენ. ქართველმა ხალხმა თავის ოცნებაში შექმნა პოეტის დიდებული სახე, რომელიც ქართველობას განუყრელი სიმბოლო შეიქმნა. მთელი საქართველო მოფენილია ღმერთებით და თქმულებებით ვეფხისტყაოსნის გენიალურ ავტორზე, ის, რაც მემკაცინებმა ვერ შემოგვინახეს, ხალხმა შემოგვინახა. ხალხის რწმენით, რუსთველი თუნდაც დიდებულია ოჯახის წევრი ყოფილიყო, იგი მთელი ხალხის სულის გამომხატველი და დაბალი წოდების თავდადებული კომპაია. ამ

საუფველზე შეიქმნა მშვენიერი თქმულება, რომელიც გადმოგვცემს შემდეგ ამბავს: ერთ დიდ პოეტურ ასპარეზობაზე თამარ მეფეს უკითხავს დიდებულთათვის: რა უფრო ამშვენიებს ადამიანს, შთამომავლობა თუ პირადი ღირსებაო? კითხვაზე პოეტებს და ფილოსოფოსებს უპასუხიათ: გვარი-შვილობა ადამიანის უპირველესი საუნჯეა, რადგან კაცი გვარიშვილობით ფასდება. მხოლოდ შოთას გამოუთქვამს საწინააღმდეგო აზრი:

„ათასად გვარი დაფასდა, ათი ათასად ზრდილობა, თუ კაცი თვითონ არ ვარგა, რას არგებს

გვარიშვილობა!“

ეს სტრიქონები შოთას არ ეკუთვნის, მაგრამ ხალხმა მაინც თავის საყვარელ პოეტს მიაწერა.

ხალხის გადმოცემით, თამარს მოსწონებია პოეტის სიტყვები და შესაფერისად დაუჯილდოვებია კიდევ მგოსანთა-მგოსანი.

ხალხის სიყვარულის გამოხატულებაა ისიც, რომ ქართულ ოჯახებში სხვა სახელთა შორის უკვლავ უფრო მრავალრიცხოვანია ვეფხისტყაოსნის გმირთა სახელები. საქართველოში იშვიათი იყო ოჯახი, რომელსაც არ ჰქონდა ვეფხისტყაოსნის ხელნაწერი.

ქართველი ხალხის ცნობიერებაში რუსთველის სახელი შესულია, როგორც სიკეთისა და სიღამაზის, სტეპაკი სიყვარულისა და ვეჟკაციობის განსახიერება.

კალია და გოგაუკი



ქ. გომიბაძე

ნახატი ივარი ქლიბაძისა

ოვაგი

ქე ჩაფრინდა. კალია, ბოსტანში რომ კვლიდა. კიტი, კამა, ტარსუნა, წაში შეხარბუნა.

როცა კარვად გამომდა, მხარ-თემოზე წამოწვა, ზეცას ასეღ-დასეღა, არხეინად ამღერდა:

— ალაღმე და დალაღმე, უველგან ასე დავლ მე, ვარსი, ვარსი, ვარალი, ნემს მასწინმელს ზარალი...—

იქვე, ჩასაფრებული, ბოსტანის მცველი ქებული, თავს დაადგა სტუნისას, თქვა:—რა დიდი გული აქვს, სხვის ჭირსასუღს იპარავ? განხოთ, ვინ დავიფარავს!—

ქე შესანსლა კალია, ბოსტანში რომ კვლიდა.

M 1 M 1 J

გამა მთავარი

ეს არ არის ზღაპარი,
ეს არ არის არაკი,—
ჩვენს ბოტანიკაში ობობამ
დღეს მოქსოვა ჰამაკი.

ყაისნაღად ომარა
პაწაწინა ხორთუმი.
დამაზია ჰამაკი,
არშობით მორთული.

მზეზე ბრწყინავს ჰამაკი,
ასნაირად ნაქარგი;
მწერებისთვის ჰამაკი
მასხა და ხათვანი.

სჯობს ახლავე დასტოვონ
ბოტანიკი და წავიდნენ,
თორემ ბუბებს, კადიებს,
დადგებთ შავი დღე.



ნახატი ზურაბ შორჩხინია




ზურა რაღა

ალ. ლიპავაძე


ზურა სწავლობს თვლას,
თვლის, თვლის, თვლის:
— ერთი, ორი... რვა... —
გაიხსენა ძლივს.

დალი დგას და იცინის.
— რა გაცინებს, რა?
— ორის შემდეგ რვა?
არ გცოდნია თვლა.

მე მისმინე, როგორ დავთვლი —
ერთი, ორი, სამი, ოთხი,
ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა,
მერე ცხრა, მერე ათი,
წამოვიხტა დიდი დათვი.



ზანდორძის ს ა მ რ ა



მაგრამ თუკი კუნძულზე კიდევ ერთი კაციც გამოჩნდება, მაშინ ყირაზე ვეღარ დადგება. მეტი გზა არ არის, ფეხზე უნდა გაიმართოს. ახალ მოსულს თავაზიანად მიესალმოს და შესთავაზოს: „გთხოვთ, შინაურულად იგრძნოთ თავი!“ ერთი სიტყვით, ეს კაცი აღამიანურად უნდა მოიქცეს: თავაზიანად, წესიერად, ზრდილობიანად. და მეორე კაციც, რა თქმა უნდა, ასევე მოიქცევა. მაშინ შეუმჩნეველად გაივლის დღეები, წლები. საბედნიეროდ, აღამიანები განცალკევებულად როდი ცხოვრობენ. ყველანი ერთად ვართ. ერთ პლანეტაზე ვცხოვრობთ: თეთრკანიან-

მ. კორაიისი. ლ. შოლი

ბავშვებო, ერთ თქვენს თანატოლ ბიჭუნაზე უნდა მოგითხოროთ. მხოლოდ წინასწარ გაფრთხილებთ, თუ ჩვენი გმირი თქვენს მეგობრებს, ან ნაცნობებს გაგახსენებთ, არ იფიქროთ, რომ ეს უბრალო დამთხვევის ბრალია. სულაც არა!. ბავშვებს ხომ ჩვენი ხუთი თითივით ვიცნობთ, მათი ზნე-ჩვეულებანიც კარგად მოგვეხსენება. ჰოდა, ზოგი თქვენგანი მარტო ნაცნობს კი არა, საკუთარ თავს, საკუთარ ჩვევას დაინახავს და მიხვდება, როდის არ მოიქცა სწორად, ეცდება გამოსწორდეს და ზრდილობიან ბავშვებს მიჰბაძოს.

დავიწყეთ შორიდან, თუნდაც წყნარი ოკეანიდან. წარმოიდგინეთ, რომ რომელიმე უკაცრიელ კუნძულზე მოხვდა აღამიანი. იმ არემაზე არავინ არის და რასაც უნდა, იმას გააკეთებს, ხელს არავინ შეუშლის, არავისი შერცხვება; თუ უნდა, თავდაყირა დადგება.



ბი, შავკანიანები, ყვითელკანიანები, და რადგანაც ბევრნი ვართ, ერთმანეთის პატივისცემა უნდა გვქონდეს, ხელიხელს უნდა ჩავკიდოთ და მშვიდობიანად ვიცხოვროთ. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, ყველა რომ ისე მოიქცეს, როგორც თვითონ სურს. მაშინ ჩვენი ცხოვრება ქვემოთ დახატულ სურათს დაემსგავსებოდა.

მოდით, უზრდელი და თაენება ბავშვები ჩაესახთ რაკეტაში და კოსმოსში გაუშვით. თქვენ იფიქრებთ: ასეც მოუხდებათ! უიმათოდ მშვიდად ვიცხოვრებდითო. მაგრამ ყოველივე ასე იოლი როდია. დავიჯერეთ, ქვეყანა ისეა მოწყობილი, რომ ადამიანთა რიცხვი ყოველწლიურად რამდენიმე მილიონით იზრდება და, რა თქმა უნდა, უზრდელი ბავშვების რიცხვიც მატულობს.

ერთერთი მათგანი ხეპრე ილიკოა. სკოლაში მასწავლებლები სწუხან: ოჰ, რა ხეპრეა ეს ბიჭი! რა გამოვა მისგან? ზარმაცია, თავის დაქვეა არ იცის, და თანაც ისეთი უსუფთაოა, რომ მეტი არ შეიძლება. ერთი სიტყვით, ილიკო იშვიათი ბავშვია, უზრდელი, ზარმაცი და უსუფთაო. ამიტომ იგი გალიაში მოვათავსეთ. ილიკო იმიტომ გამოვკეტეთ, რომ ციბრუტივით ვეღარ იტრიალებს და ყველანი კარგად დინახეთ. ილიკოცა და სხვა მისთანა ხეპრე ბიჭები დაუყოვნებლივ სკოლაში უნდა გავგზავნოთ. გალიასა და რაკეტას ისევ სკოლა სჯობია.

„ეჰ სკოლაში!“—ბევრ თქვენგანს გუნება გაუფუჭდება და იტყვის: ეგ უკვე საინტერესო აღარ არისო! მაგრამ ნუ აჩქარდებით, ეს ხომ ჩვეულებრივი სკოლა არ არის. ილიკომ გაოცებისაგან პირი



დააღო. იქ არც სკოლის შენობაა, არც მასწავლებელია, არც დაფა და არც მერხები. მაშ, სკოლა სადღაა? იგი ყველგან არის: სახლშიც, ქუჩაშიც, ტრამვაიშიც, კინოშიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, თვითონ სკოლაშიც. სადაც კი ხალხია, იქ სკოლაც არის. უფროსები მას ცხოვრების სკოლას უწოდებენ. ჰოო?! ილი-კომ რვეული და ფანქარი აიღო და სასწავლებლად წავიდა.
ყნახოთ, რას ისწავლის!

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)


პიკუტონე
ლილა პიპა

ნუთუ არვინ არ იცით, არვის შეგამჩნევიათ, ერთ საქმეში მაიას სიზარმაცე სჩვევია.

პირის ბანა არ უყვარს, პირზე წყალს არ იკარებს, ამას ეჩხუბებიან ყოველ დილა-ციანარე.

მარტო თვადებს მოიბანს, იღუებს კი უფროთილდება, სულ ბგა და ჩირინი თქვენ გგონიათ სწყინება?!

მაგრამ, ვაი, ერთხელაც თუ შენიშნეს ტოლდება, გოგო-პირუბანელა არც მათ მოუწონებათ.



ალიარტალი, ბალიარტალი

ნოლარ შამხაძე

ალიართალი, ბალიართალი, ზაფხულს მოჰყვება ცივი ზამთარი. მწიფს გაზაფხულზე უურძნის მტევანი, შემოდგომაზე ყვავის ტყემალი; ხეზე მიცოცავს მწუერი დამფრთხალი, მდინარეებში ცურავს ქათამი, ფისო ტალახში წევს და ღრუტუნებს, გოკი სხვენზეა, ტკბილად კრუტუნებს; ჩიტი ფეტვსა ჭამს, მურია ბზესა, კალია ცოცავს, კუ იქნევს ფრთებსა; ალიართალი, ბალიართალი, ათი ტყუილი, ერთი მართალი.



ნიშა სჯავთაი



მომობი ბეჰეჰი

ნახატი ბაიოზ ფოსნიპილისა

— ერთი ამას უყურე!
— რა იყო, ბიჭო!—გამოეხმაურა ოთარს ბებია.
— ეს სბო მე მიყურებს, თითქოს ჩსუბი უნდა!
— იქნება გიპირებს კიდეც,—გაიციინა ბებია მართლაც, ოთარის მოშორებით პატარა ნიშა იდგა. წინა ფეხები განზე გაედგა და ოთარს დაბღვერილი მისჩერებოდა.

— ნიშა, იცი, ტყუილად ნუ იბღინძები, თორემ ამას ხედავ?—ჯოხი უჩვენა პატარა ბიჭმა. ნიშამ აინუნუნია არ ჩააგდო ბიჭის მუქარა.

ტყუას ვასწავლი,—გაიფიქრა ბიჭმა და მიუახლოვდა, მაგრამ ნიშა არ უთფილა მშიშარა. დასახვედრად მოემზადა. ოთარი შედგა, გულში შიში შეეპარა. ამ დროს ბებია სმაც მოესმა.

— მაგას მოეფი, ბებია გენაცვალოს, თორემ ისეთი რჩოლა იცის, გატკენს რამეს.

გათამამებული ნიშა ბებია ეზოდან გააგდო. ოთარს ალაოვიც ეთამაშება ეზოში. ყველა მომდურებელი ჰყავს. ახლა ინდაურებს დაუსტ-

ვინა; ისინიც კი ბრიყვები არიან, აიფხორნენ, მარაოებივით გაშალეს ბოლოები და დაიწყეს ურღუმ-ბურღუმ. ესეც მოსწყინდა ბიჭს.

ოთარი შუა ეზოში სის ძირას ჩამოჯდა და დალონდა—მას ყველა გაურბოდა. უცებ ხელზე თბილი, საოიანი ენა იგრძნო. ნიშა მოსულიყო და ხელს ულოკავდა. ბიჭმა ხელი ჰკრა და თან ფეხიც მოუქნია. ნიშა გაჯავრებული მიბრუნდა, ოთარმა, აქაოდა შევაშინეო, ფეხი კიდეც ამოუქნია. ნიშა მობრუნდა, ცოტა დაიწია და მერე გამოქანდა, თავით დაეჯახა და გადააკოტრილა. ბიჭს არც უგრძენია ტკივილი, რადგან ბატების გუბეში მოადინა ზღართან. ნიშა ისევ განზე გადგა გაბოტრილი და თავს უქნევდა—ერთი კიდეც ადექიო. ოთარი ტალახში ამოიგანგლა. ის იყო ოთარს ტირილი უნდა დაეწყო, რომ თინას კისკისი გაეგონა.

— ეგრე გინდა, ეგრე გინდა, ყველა რომ მოიმდურე!—გულიანი და კისკისებდა თინეყო.

კახარი იხმნის



ზადის სვეტზე მიბმულ კუბრივით შავ კამენს მიუტუტქდა და პირში შეჭყურებდა. „უი, ჭამს,“—ფიქრობდა გოგონა და თვალს არ აშორებდა, როგორ იცოხნიდა გამამდარი კამეჩი. ბებიამ კამეჩი მოწველა, სამზალში შუა ცეცხლი დაანთო და რძით საესე ქვაბი სამფეხზე შემოღდა.

ბაბუაც მოვიდა, კამეჩი მინც „ჭამდა“ ირინეს უკვირდა: „კამეჩი კევს ხომ არ ღეჭავსო“. დიდხანს უყურებდა, იქნებ ნამცეცი რამ დაუვარდეს და გავიგო, რას ჭამს კამეჩიო. კამეჩი მშვილად იცოხნიდა და ვერ გავიგო. რად მიჩერებოდა პირში ეს წითელკაბიანი გოგონა.

— ბებია, რას ჭამს კამეჩი, ამდენი ხანი ჭამა გაგონილა?

— კი არ ჭამს, შვილო, კამეჩი იცოხნის, ღლე ბალახს ძოვს და ღამე იცოხნის,—აუხსნა ბებიამ.

ირინემ კარგად ვერ გაიგო ბებიას ნათქვამი, მაგრამ სიტყვა „იცოხნის“ დაამახსოვრდა. მაშინვე თიკოსთან გაიქცა. თიკო მგზობლის გოგო იყო, კამეჩი მათაც ჰყავდათ.

— თიკო, თიკო!—ყვირილით შევარდა ირინე თიკოსას,—ჩვენი კამეჩი იცოხნის!


— მერე რა,—გაუკვირდა თიკოს,—ჩვენი კამეჩიც იცოხნის... აი!

თიკომ ირინეს თავისი კამეჩი უჩვენა. ირინეს ძალიან გაუკვირდა,—თიკოს კამეჩიც იცოხნიდა.

სიკა ფრხველამე ნახატი ღიმილიჩი ზარაფიუხილიჩისა

ერთხელ პატარა ირინე სოფელში დიდედას ეწვია. სტუმრად ჩასულმა გოგონამ თვალის დახამხამებაში შემოიბრინა მწვანეში ჩაფლული ეზო-ბაღი. იქ ყვავილებს მოფფერა. აქეთ ცუგოს ეთამაშა. საღამო ხანს კი სამ-

ფიფინა და ფონფონი



— თუ არ შენუხლები, ერთი ნუთი ყური უძღე ჩემს თოჯინას. სიამოვნებით, თლონდ ძალიან არ დაიკვირო.

ფრანკულ საბავშვო ჟურნალიდან



ჩიტიკოსი

რეპორაჟორი
ლევან ჭრელიძე



— ჩიტბატონას მემბიანი, განა მართლა ბატონი ვარ! დღე და ღამე ვმუშაობ. ჩემი შიშით კანკალებენ მწერები და მატლები; მიყვარს სარევედა მცენარეების თესლი, ულა, მარწყვი...

გაზაფხულზე, როცა კვირტი სითობსაგან გაიღვიძებს და თვადწარმტაცი ყვავილნარი მზეს ნაზად გაუღვიძებს, მაშინ ბუდის ასაშენებლად ჩიტბატონები ბუჩქში ვარჩხვთ მყურთ ადგილს. ვეზილებით ბამბას, მატყლს და ბუმბულს, ნისკარტებით ვქსოვთ და ვქარგავთ, ერთ კვირაში თბილ და ძალზე კოხტა ბუდეს გავამზადებთ. მერე დედაჩიტბატონა ხუთ კვერცხს წყნარად დააჯდება. მამა-ჩიტი სატყელს ატყვევს, მოაქვს მატლი, ჭია, ტუპრი. ორ კვირაში მთლად ტიტველი, თვადბუჭუნა პაწაწები იჩეკება.


- წიპ, წიპ, დედა, მშოია!
- წი, წი, მამა, მშოია!

ხუთივეს პირი დაუღია. ჩვენც გამალებით დაფრინავთ,—ბუჩქნარებში ვეძებთ ღუკმას და ოც დღეში პატარა ბარტყებს უკვე კარგად წამოვჩიტავთ. მერე ფრენას შევასწავლით, ჯერ ტოტიდან ვასკულებთ, მერე ხიდან ხეზე გადავფრენთ, როცა ფრთებს გაი-

მაგრებენ, ჩვენთან ერთად დაფრინავენ საზღოლს საპოვნელად.

ზაფხულში ორჯერ ვბარტყობთ, ზამთარში აქვე ვჩხვით: თოვლი და ყინვა არ გვაშინებს. სარევედა ბაღებში თესსლა ვსობთ და ამითი დიდი სარგებლობა მოგვაქვს.

გარეგნობით და გარბობით, აბა, ჩვენ ვინ შეგვედრება, ამიტომაც გვეძახიან ჩიტბატონას. გაღიებში ჩავგამწყვედვენ და ვჩვენვით დატყვევებას. საყენეს თუ არ მოგვაკლებენ, ეჭიკტიკებთ და ვმხიარულობთ.



10.02.1

ვკეკეკი

ნანა ლალიძე

მეგობრები

საქმიანობს თინა,
ეხმარება ზურა,
თინა რეცხავს სარეცხს
და ზურიკო წურავს.



ქეკეკი და ჩიჩილი

მორის ფოხნიშვილი

მელია: იწილო, ბიწილო,
მწიფს წითელი წიწიბო,—
ტყეში წამო, წიწილო,
უხმაუროდ, წყნარად,
მწვანე წკნელით გავიშენებ
სათამაშო კარავს.



წიწილი: იწილო, ბიწილო,
თუ არ გინდა ვიწივლო,
დაიკარგე აქედან,
შე ეშმაკო, შენა,
თორემ ჩვენი მურა-ძაღლი
ამოგაძრობს ენას!

კუპოსკანესი

ერთი ძალაბანაკე, ორი მსკერფლი და ორი მსმე-
ნელი ერთ ბუჩქსკედ სეკდან.

ას რა მხედრათ, რომ ცხუზუდ ზის და თაყანი
ფეხები კურუბუდ ხქს აწუბილი!

(ბალსური)



აბა, მალხაზ...

უნაპირო მინდორ-ველზე
გარბის სანდრო ტაიჭით,
აბა, მალხაზ, გაეკიდე,
თუ ბიჭი ხარ, დაიჭი!



ჩუკღინი და ხაჭინაჭი

ქართული ხალხური ზღაპარი

ერთხელ, გაზაფხულის პირვე დიდი
ყინვები დაიჭირა. კურდღელს ხუთი
ბაჭია ჰყავდა და მოულოდნელმა ყინ-

ვამ ძალიან შეაწუხა. დედა კურდღელი
ცდილობდა, როგორმე გაერთო თავი-
სი ბაჭიები და ზღაპრებს უამბობდა.
ბაჭიები მაინც აბუზულეები იყვნენ
და დედის ნაამბობი იმით ვერ ათობ-
და.

დილით დედა კურდღელი ჯაგადან
გამოხტა და ბაჭიებიც გამოჰყვინენ. კურ-
დღელმა სერიდან ორმოცი ვერსის მან-
ძილზე მთაზე ცეცხლი დაინახა. უკანა
ზემებზე ჩაცუქება და წინა თათები
ცეცხლს მიუფიცხა.

— დედილო, რას შვრებიო?—ჭკი-
თხის ბაჭიებმა.

— თათებს ცეცხლზე ვითობო!—
მიუგო კურდღელმა.

ერთმა ეშმაკმა ბაჭიამ, რომელიც
დედსავით ჩაცუქებულიყო, მარჯვენა
ფეცი ჩამოიკრა თვალთან.

— რა იყო, შვილო?—ჭკითხა დედამ.

— ცეცხლის ნაპერწკალი თვალში
მეცაო!—უბახუხა ბაჭიამ.

ჩუკღინი



შეადგინეს სიფეღ თოფახის (საინგილო) საშუალო
სკოლის მოსწავლეებმა დედა პაპიაშვილმა და
რადა ყულოშვილმა.

შთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩაქვიანი.

სარედაქციო კოლეგია: ვ. გიგინეიძე, კ. გომიანი, ჯ. ლოლა, მ.პ. მრავალშვილი, ჯ. ნინუა, მ. ხაბაძე
(სამხატვრო რედაქტორი), ნ. შულციანი (მთ. რედაქტორის მოადგილე), რ. პიჭვიანი


საქართველოში ალექსანდრე ნეველინი და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორკა პიონერთა ორგანიზაციის რეპუბლიკური
ბაჭის ჟურნალი

ყდის მხატვრობა ზურაბ გიგინეიძისა

ტექნიკური რ. როინიშვილი

გამოცემის რედაქციის მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 222, ტელ. N 1026, ჯიჯი N 55.000, ხელმოწერილია დასაბუღად 18/IV 1980 წ.

გამოცემის ინსტრუქცია, გამოც. შავი, N 222, ტელ. N 1026, ჯიჯი N 55.000, ხელმოწერილია დასაბუღად 18/IV 1980 წ.
ფონდი დასტავილია საქ. ც. კ. კომპიუტერის ოპერატორებისთვის ლენინის ქ. N 14 „საქსა“ № 6 რ. გუგუთის ქვეყ. თბილისი, პროს. პლავნიკის N 81
რედაქციის მისამართი: თბილისი, პლავნიკის ქვეყ. N 81, ტელ. 5-37-38, 5-18-06.



1



4



2



3

1. „ღვეტენ დარული ავრორა“—ნახატი ირაკლი დულაშვილისა, 8 წ. თბილისი.
2. „საკვირაო გახვირება“—ნახატი შაია ორჯონიძისა, 7 წ. მოსკოვი.
3. „ვთამაშობთ“—ნახატი შაია ქუთათელაძისა, 5 წ. თბილისი.
4. „პეიზაჟი“—ნახატი ნინო ბოკერიახი, 7 წ. ბათუმი.




5



6

5. „ცხენოსანი“—ნაძერწი ლალო ბუცხრიკიძისა, 10 წ. თბილისი.
6. „ხელადა“—ნახატი ლია ბუხნიკაშვილისა, 6 წ. საჩხერე.
7. „კრუხი“—ნახატი შიხეილ სვიანიანიშვილისა, 7 წ. თბილისი.



7